

დამტკიცებულია 20.04.2018წ.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



## არჩევნების ჩატარების წესი

### მუხლი 1. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების მიზნით რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა არის კენტი.
2. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო კომისიის მდივანად აირჩევა კომისიის ნებისმიერი წევრი კომისიის პირველსავე სხდომაზე, კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით ან განისაზღვრება ადმინისტრაციული აქტით. კომისიის მდივანი ადგენს სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს მათ შესაბამის მოწმობებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო კომისიას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.
6. საარჩევნო კომისიას გააჩნია შემოსული/გასული დოკუმენტების/განცხადებების ყოველწლიური სარეგისტრაციო ჟურნალი.
7. საარჩევნო კომისიას გააჩნია მრგვალი ბეჭედი.
8. საარჩევნო კომისია მოქმედებს ამ დებულების, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 2. კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება

1. საარჩევნო კომისიის წევრებს შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ შრომის ანაზღაურება დანამატის სახით თვეში შემდეგი ოდენობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე – 300 ლარი

ბ) კომისიის მდივანი — 250 ლარი

გ) კომისიის წევრი — 200 ლარი.

2. საარჩევნო კომისია მოქმედებს მუდმივად, თუ შესაბამისი აქტით სხვა რამ არ დადგინდა.

### მუხლი 3. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნები და კონკურსები ტარდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით, აკადემიური/წარმომადგენლობითი/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საბჭოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის სამუშაო გარემოს.
3. სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია არჩევნების დღეს მუშაობას იწყებს დილის 9 საათზე. არჩევნები იწყება დილის 10 საათზე, თუ შესაბამისი აქტით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული. კომისიის წევრები ინაწილებენ ფუნქციებს.
4. არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს სასწავლო უნივერსიტეტი.

### მუხლი 4. არჩევნების პროცედურა

1. არჩევნების დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის წევრისგან/რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. შემდეგ ამომრჩეველი მიდის სპეციალურად მოწყობილ კაბინაში, შემოხაზავს მისთვის სასურველ დადგენილი რაოდენობის კანდიდატურას, ათავსებს საარჩევნო ბიულეტენს კონვერტში და აგდებს საარჩევნო ყუთში, შემდეგ გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში 5-ზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა.

### მუხლი 5. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა/არჩევნები სრულდება არჩევნების დღეს 17 საათზე. შესაძლებელია არჩევნების მითითებულ დროზე ადრე დამთავრება თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა (სიითი შემადგენლობის) სრული შემადგენლობა, ან საარჩევნო კომისიისათვის ცნობილია (შესაბამისი დოკუმენტით), რომ ამომრჩეველი ვერ გამოცხადდება არჩევნებზე გარკვეული მიზეზების გამო (ავადმყოფობა, მივლინებით იმყოფება სხვა ქალაქში ან ქვეყანაში ა.შ).
2. არჩევნების დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება შესაბამის ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და დაესმის საარჩევნო კომისიის ბეჭედი.
3. საარჩევნო ოქმებისა (შემაჯამებელი/შერჩევის/ სადემონსტრაციო) და ბიულეტენების ნიმუშები, თან ერთვის არჩევნების წესს დანართის სახით.
4. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა ამომრჩეველთა სიებში შეტანილ ამომრჩეველთა 1/3 მაინც.
5. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და ითვლება:
  - ა) აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი.





ბ) სტუდენტებისათვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენი.

6. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

7. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე კომისიის წევრის ხელმოწერა ;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატი;

გ) თუ შემოხაზულია დადგენილ რაოდენობაზე მეტი კანდიდატი;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.

8. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიაში;

ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (სიებში ხელმოწერების რაოდენობა);

გ) მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა

დ) ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიაში 12 საათისთვის და 15 საათისთვის;

ე) გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ვ) ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ზ) გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

თ) გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ი ) მიღებულ ხმათა რაოდენობა ( კანდიდატის/თა მიერ) ;

კ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

### **მუხლი 6. საარჩევნო სიები**

1. საარჩევნო სიებს ადგენს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი.

2. მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარებისას აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა საარჩევნო სიები დგება ცალ-ცალკე.

3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტ - ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ყველა სტუდენტი, რომელიც ირჩევა სასწავლო უნივერსიტეტში და გაივლის რეგისტრაციას.



4. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ყველა პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

5. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩევლის სახელი და გვარი;

ბ) სტუდენტის ბილეთის/ პირადობის მოწმობის ნომერი – სტუდენტი ამომრჩევლისთვის

გ) აკადემიური პერსონალისთვის–სახელი და გვარი, პირადი ნომერი.

6. დაუშვებელია ერთი და იმავე პირის მონაცემების შეტანა რამოდენიმე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის საარჩევნო სიაში

### **მუხლი 7. საარჩევნო ბიულეტენი**

1.ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება საარჩევნო კომისიის მიერ.

3. აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტისათვის საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ცალ-ცალკე. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის და შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სახელწოდება;

ბ) აღნიშვნა იმის შესახებ, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისთვის არის განკუთვნილი;

გ)აღნიშვნა იმის შესახებ, საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილია აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტისათვის

დ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი .

4.საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირზე პირადობის/მართვის მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

### **მუხლი 8. საარჩევნო ყუთი**

1. სასწავლო უნივერსიტეტი არჩევნების ჩასატარებლად უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთებით საარჩევნო კომისიის აღჭურვას.

2. საარჩევნო ყუთებზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს არჩევნებისათვის არის განკუთვნილი.

3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის და დამკვირვებლების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან





ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.

4. საკონტროლო ფურცელი დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი არჩევნებისა და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.

5. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგზე.

#### **მუხლი 10. დარღვევის ოქმი**

1. არჩევნების დღეს დადგენილი წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
- გ) დარღვევის შინაარსი;
- ხ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

#### **მუხლი 11. არჩევნების შედეგების გამოცხადება**

1. არჩევნების შედეგების ამსახველ დოკუმენტაციას საარჩევნო კომისია გადასცემს სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოს შემდგომი რეაგირებისთვის.

#### **მუხლი 12. არჩევნების შედეგების გასაჩივრება**

1. არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან დაინტერესებულ პირს, კანდიდატს, დამკვირვებელს, ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი კანონით დადგენილი წესით შესაბამის ორგანოში.

#### **მუხლი 13. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია**

1. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატს (კანდიდატებს) უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.

2. მართვის ორგანოში ასარჩევ კანდიდატებს, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ამომრჩეველებს უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად

3. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.

4. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს

ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;

ბ) ადმინისტრაციულ პერსონალს.



5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, დისკუსიები, ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით), აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისთვის ხელის შეშლა.

6. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი დაწესებულებაში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებისთვის საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი და არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება და სხვა), ხელყოფს წესრიგს დაწესებულებაში ან ზიანს აყენებს დაწესებულების ქონებას.

7. დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და დაწესებულების სხვა ქონებით სარგებლობისათვის. ყველა კანდიდატისათვის დაწესებულების ფართით სარგებლობა უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი.

#### **მუხლი 14. დამკვირვებელი**

1. არჩევნების პროცესზე შეიძლება დაშვებულ იქნეს დამკვირვებლები, არაუმეტეს კომისიის წევრთა ორმაგ რაოდენობაზე მეტისა. მსურველები უფლებამოსილნი არიან არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა მიმართონ საარჩევნო კომისიას განცხადებით დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის :

ა) ასარჩევი კანდიდატი.

ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი.

3. დამკვირვებელი უფლებამოსილია, წარმოადგინოს საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული დამკვირვებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის მოწმობა (წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიშვებიან), დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.

4. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

5. საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

#### **მუხლი 15. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი.**

1. წინამდებარე წესი დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

2. არჩევნების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

